

შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „მოდერნიზებული მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები გარკვეული მომწოდებლებისგან და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება კომპანიის სავაჭრო დავალიანების გარკვეული ნაშთის სისწორეზე 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, რაც ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 4,708,328 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები გარკვეული მყიდველებისაგან და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება კომპანიის სავაჭრო დავალიანების გარკვეული ნაშთის სისწორეზე 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, რაც ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 3,649,880 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსაშვადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის შედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება.

გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.

სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო



შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020

	შენიშვნები	12/31/2021	31/12/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	3,522,509	4,664,622
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,522,509	4,664,622
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	2,356,132	6,189,632
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,649,880	3,508,885
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	4,302,563	4,696,487
საგადასახადო აქტივები		-	21,991
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,308,576	14,416,994
სულ აქტივები		13,831,085	19,081,616
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	10	9,467,520	11,695,731
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,467,520	11,695,731
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	6,816,334	7,236,009
სესხები	10	457,974	3,957,974
საგადასახდო ვალდებულება		385,756	-
გადახდილი პროცენტი		327,910	58,713
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,987,975	11,252,696
სულ ვალდებულებები		17,455,495	22,948,427
საწესდებო კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	24,686	24,686
გაუნაწილებელი მოგება		(3,649,095)	(3,891,497)
სულ კაპიტალი		(3,624,409)	(3,866,811)
სულ კაპიტალი და ვალდებულება		13,831,085	19,081,616

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესწორებული 2020

	შენიშვნები	12/31/2021	31/12/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	3,522,509	4,664,622
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,522,509	4,664,622
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	2,356,132	6,189,632
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,649,880	3,508,885
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	4,302,563	4,696,487
საგადასახადო აქტივები		-	21,991
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,308,576	14,416,994
სულ აქტივები		13,831,085	19,081,616
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	10	9,467,520	11,695,731
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,467,520	11,695,731
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	6,816,334	7,236,009
სესხები	10	457,974	3,957,974
საგადასახდო ვალდებულება		385,756	-
გადახდილი პროცენტი		327,910	58,713
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,987,975	11,252,696
სულ ვალდებულებები		17,455,495	22,948,427
საწესდებო კაპიტალი	11	24,686	24,686
გაუნაწილებელი მოგება		(3,649,095)	(3,891,497)
სულ კაპიტალი		(3,624,409)	(3,866,811)
სულ კაპიტალი და ვალდებულება		13,831,085	19,081,616

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი



29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი	12	18,754,545	14,583,948
გაცივებული საქონლის ღირებულება	13	(10,242,539)	(8,953,377)
საერთო შემოსავალი		8,512,006	5,630,571
სხვა შემოსავალი		13,969	55,647
მიწოდების ხარჯები	14	(5,789,778)	(5,012,901)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(662,306)	(1,270,660)
სხვა საოპერაციო ხარჯები		22,231	(8,927)
საოპერაციო მოგება/ზარალი		2,096,122	(606,270)
ფინანსური ხარჯი		(583,659)	(932,030)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(1,270,062)	-
მოგება დაბეგრამდე		242,402	(1,538,300)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		242,402	(1,538,300)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება/ზარალი		242,402	(1,538,300)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2021	2020
შემოსავალი	12	18,754,545	14,583,948
გაყიდული საქონლის ღირებულება	13	(10,242,539)	(8,953,377)
საერთო შემოსავალი		8,512,006	5,630,571
სხვა შემოსავალი		13,969	55,647
მიწოდების ხარჯები	14	(5,789,778)	(5,012,901)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(662,306)	(1,270,660)
სხვა საოპერაციო ხარჯები		22,231	(8,927)
საოპერაციო მოგება/ზარალი		2,096,122	(606,270)
ფინანსური ხარჯი		(583,659)	(932,030)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(1,270,062)	-
მოგება დაბეგვრამდე		242,402	(1,538,300)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		242,402	(1,538,300)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული მოგება/ზარალი		242,402	(1,538,300)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	24,686	(3,891,497)	(3,866,811)
ზარალი	-	242,402	242,402
დივიდენდის გაცემა	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	24,686	(3,649,095)	(3,624,409)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	24,686	(3,891,497)	(3,866,811)
ზარალი	-	242,402	242,402
დივიდენდის გაცემა	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	24,686	(3,649,095)	(3,624,409)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს “დეფაქტო რითეილ ჯი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადამდე	242,402	(1,538,300)
კორექტირებები		
ცვთა და ამორტიზაცია	1,031,821	1,081,837
საკურსი მოგება/ზარალი(ნეტი)	(116,106)	604,767
საპროცენტო ხარჯი	583,659	932,030
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,741,776	1,080,334
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	393,924	(485,950)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(140,996)	438,233
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(258,098)	(1,454,240)
ზრდა/შემცირება საგადასახადო აქტივებში	363,765	(179,016)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება	358,595	(1,680,973)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,100,371	(600,639)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა შეძენა	110,292	(77,682)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	110,292	(77,682)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(6,042,673)	6,164,321
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-
გადახდილი დივიდენდი დედა კომპანიისთვის	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(6,042,673)	6,164,321
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	(1,489)	95,484
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება	(3,832,010)	5,486,000
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6,189,632	608,148
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,356,133	6,189,632

ხელმოწერი პირები:

დირექტორი

29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს "დეფაქტო რითეილ ჯი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადამდე	242,402	(1,538,300)
კორექტირებები		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,031,821	1,081,837
საკურსი მოგება/ზრალი(ნეტი)	(116,106)	604,767
საპროცენტო ხარჯი	583,659	932,030
მოგება/ზრალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,741,776	1,080,334
ზრდა/შემცირება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	393,924	(485,950)
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(140,996)	438,233
ზრდა/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(258,098)	(1,454,240)
ზრდა/შემცირება საგადასახადო აქტივებში	363,765	(179,016)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება	358,595	(1,680,973)
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2,100,371	(600,639)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებსა შეძენა	110,292	(77,682)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	110,292	(77,682)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	(6,042,673)	6,164,321
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-
გადახდილი დივიდენდი დედა კომპანიისთვის	-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(6,042,673)	6,164,321
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	(1,489)	95,484
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა/კლება	(3,832,010)	5,486,000
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6,189,632	608,148
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,356,133	6,189,632

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



29 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია შპს დეფაქტო რითეილ ჯი („კომპანია“) დაარსდა 2015 წლის 12 მარტს საქართველოში რეგისტრირებული მისამართით. კომპანია წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

კომპანია იყენებს თურქული ე.წ. ომნი-არხული საცალო ქსელის სავაჭრო ნიშანს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლით, სუნამოებითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში. კომპანია აწარმოებს საქონელს თურქეთში, შემოაქვს საქართველოში და რე-ექსპორტს ახორციელებს სომხეთში. საქართველოში წარმოდგენილია კომპანიის 5 საცალო მაღაზია, რომლებიც მდებარეობს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

თანამშრომელთა ჯამური რაოდენობა საანგარიშო პერიოდში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენდა 110-ს. კომპანიის ადმინისტრაციული ოფისი ადმინისტრაციის ორი თანამშრომლის გუნდით განთავსებულია მერაბ ალექსიძის ქ. 12-ში მდებარე ბიზნეს ცენტრ King Davidის მეორე სართულზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქ., №2

კომპანიის მფლობელები არიან:

სახელი	წილი %
540153, სააქციო საზოგადოება დეფაქტო ფერაქენდე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი, თურქეთი,	100

JSC DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş- თურქეთში დარეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც აწარმოებს და ყიდის DEFACTO ბრენდის საქონელს.

კომპანიის დირექტორი არის : აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ - 2021	31 დეკ - 2020
1 დალარი/ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

გასაყიდად გასაყიდი ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განისაზღვრულია როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი ან არ კლასიფიცირდება როგორც სესხები და მისაღები მოთხოვნები, ვადის გასვლამდე ინვესტიციები ან ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის საშუალებით.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ

მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

	სასარგებლო ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	10-15
საიჯარო ქონების გაუმჯობესებები	5-10
ელექტრონული აღჭურვილობა	10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
სხვა	3

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა. არამატერიალური აქტივებისთვის განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როცა იწყება აქტივის გამოყენება.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით აქტივის თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში გუდვილის გარდა, იმ დღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად.

მიმდინარე და შედარებითი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

პროგრამული უზრუნველყოფა

5 წელი

სავაჭრო ნიშნები და რეკლამის დიზაინები

5 წელი

ლიცენზიები და დათმობები

25 წელი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაფონდებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად

ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშებზე ასახულ ცვლილებებს.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის გაყიდვა აღიარებულია მიწოდებისთანავე, როდესაც საქონლის საკუთრების მნიშვნელოვანი რისკები გადადის მყიდველზე.

მოგების გადასახადი

2016 წლის მისში საქართველოს პარლამენტმა დამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადავადებული გადასახადები

გადასახადები გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით. ფინანსურ ანგარიშგებებში მოგებიდან გადასახადი ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იხეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტი იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იხეგრება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

პროცენტის შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სხვა გადასახადები, საკომისიოები და სხვა შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი მომსახურების გაწევისას. საოპერაციო იჯარით გადახდილი გადახდები

აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2021 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

2019 და 2020 წლის 01 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტები:

4.1 IFRS 16, იჯარა (გამოქვეყნდა 2016 ელის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის)

IFRS 16 2016 წლის იანვარში გამოქვეყნდა. ის ანაცვლებს IAS 17 სტანდარტს „იჯარა“, IFRIC 4-ს, რომლითაც დგინდება, შეთანხმება გულისმობს თუ არა იჯარას, SIC-15-ს „საოპერაციო იჯარა - წახალისების საშუალებები“ და SIC-27-ს, რომელიც აფასებს იმ ტრანზაქციების არსს, რომლებიც მოიცავს იჯარის იურიდიულ ფორმას. IFRS 16 აწესებს იჯარის აღიარების, გაანგარიშების, პრეზენტაციის და გამჟღავნების პრინციპებს და იჯარით მოსარგებლეებისგან მოითხოვს, რომ ყველა იჯარა ერთი საბალანსო უწყისის მოდელით აღრიცხონ, ისევე, როგორც IAS 17 ფინანსური იჯარის აღრიცხვაზე მოითხოვს. სტანდარტი მოიჯარეებს აღიარების ორ გამოწვევის სთავაზობს - „დაბალი ღირებულების“ აქტივების იჯარას (მაგალითად პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიან იჯარებს (მაგალითად 12 თვის ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები). იჯარის პერიოდის დასაწყისში, მოიჯარე აღარებს საიჯარო გადასახდელის ვალდებულებას (მაგალითად საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის პერიოდში (მაგალითად გამოყენების უფლების მქონე აქტივი). მოიჯარეებს მოთხოვნილია, ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და გამოყენების უფლების მქონე აქტივის ცვეთის ხარჯი.

მოიჯარეს ასევე მოეთხოვება გარკვეული მოვლენების დადგომისას ხელახლა იანგარიშოს საიჯარო ვალდებულება (მაგალითად საიჯარო პირობის ცვლილება, სამომავლო საიჯარო გადასახდელის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ამ გადასახდელის განსაზღვრისას გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებით). მოიჯარე საიჯარო ვალდებულების გადანგარიშებულ თანხას როგორც წესი აღიარებს როგორც გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირებას.

IFRS 16-ის თანახმად მეიჯარის აღრიცხვა ამჟამად არსებულ IAS 17-ის მიხედვით აღრიცხვასთან შედარებით ძირითადად უცვლელია. მეიჯარეები განაგრძობენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე პრინციპებით, რასაც IAS 17 იყენებს და განასხვავებენ ორი ტიპის იჯარას: საოპერაციო და ფინანსურ იჯარას.

IFRS 16 მოიჯარეებისა და მეიჯარეებისგან ასევე მოითხოვს, უფრო ვრცელი გამჟღავნებები გააკეთონ, ვიდრე IAS 17-ითაა მოთხოვნილი.

- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები (ფასს 16-ის კორექტირება)
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამოჩნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები)
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები)
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები)
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები
- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები)

IFRIC-ის ინტერპრეტაცია 23 განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით

ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადის აღრიცხვას, როცა საგადასახადო ასპექტი მოიცავს განუსაზღვრელობას, რომელიც გავლენას ახდენს IAS 12-ის გამოყენებაზე და არ ეხება IAS 12-ის მასშტაბის გარეთა გადასახადებს ან საურავებს, არც რაიმე კონკრეტულ მოთხოვნას შეიცავს გაურკვეველ საგადასახადო

აღრიცხვასთან დაკავშირებული პროცენტის და ჯარიმების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად ეხება შემდეგს:

- ბიზნესერთულ ცალკე იხილავს თუ არა გაურკვეველ საგადასახადო აღრიცხვას;
- რა დაშვებებს აკეთებს ბიზნესერთული საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო აღრიცხვის შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს ბიზნესერთული დაბეგვრად მოგებას (საგადასაადო ზარალს), საგადასახადო ბაზას, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალებს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ იხილავს ბიზნესერთული ფაქტების და გარემოებების ცვლილებებს;

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	12/31/2021	12/31/2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	266,125	275,833
ფული გზაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენ ბანკში	1,364,936	5,249,635
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	725,071	664,164
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,356,132	6,189,632

საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც რისკისგან თავისუფალი, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები, საიმედო და ცნობილი ქართული საკრედიტო ინსტიტუტებია.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12/31/2021	12/31/2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	390,549	206,728
წინასწარ გადახდები	3,259,332	3,302,156
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,649,880	3,508,885

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2021	12/31/2020
მარაგები	4,302,277	4,696,487
საწვავი	286	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	4,302,563	4,696,487

8. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ავტო ავტო	იჯარით აღებული აქტივის გაუმჯობესება	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება							
31.12.2020	398,695	2,684,796	4,453,598	3,985	659,833	5,518	8,206,425
შემენა	23,482	15,918	17,277	6,919	10,653	97,510	171,759
ჩამოწერა	(144,456)	(57,480)	(65,980)	(25,419)	(119,215)	(92,071)	(504,620)
31.12.2021	277,722	2,643,234	4,404,896	(14,515)	551,271	10,957	7,873,564
ცვეთა							
31.12.2020	(131,852)	(1,634,838)	(1,359,143)	-	(413,347)	(2,623)	(3,541,803)
პერიოდის ცვეთა	48,717	42,223	25,487	25,419	35,371	45,353	222,569
ჩამოწერა	(71,727)	(247,513)	(473,147)	(2,557)	(48,503)	(188,373)	(1,031,821)
31.12.2021	(154,863)	(1,840,128)	(1,806,804)	22,862	(426,479)	(145,643)	(4,351,055)
ბალანსი 31.12.2020	266,844	1,049,958	3,094,456	3,985	246,485	2,895	4,664,622
ბალანსი 31.12.2021	122,859	803,106	2,598,092	8,346	124,792	(134,686)	3,522,509

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,787,159	7,205,939
გადასახდელი ხელფასები	29,175	30,071
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,816,335	7,236,009

10. სესხები

სესხები	12/31/2021	12/31/2020
მოკლევადიანი სესხები	457,974	3,957,974
გრძელვადიანი სესხები	9,467,520	11,695,731
გადასახდელი პროცენტი	327,910	58,713
სულ სესხები	10,253,404	15,712,418

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების ნომინალური ღირებულებით.

შპს “დეფაქტო რითეილ ჯი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები დროდადრო და ფლობენ ხმების რაოდენობას, რომელიც შეესაბამება კომპანიის დამფუძნებელთა შეხვედრებზე საკუთრების პროცენტულ მატყვენებელს.

2021 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა და შეადგენს 24,686 ლარს. კომპანიას 2021 წელს არ გაუცია დივიდენდი.

12. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან

ამონაგები	12/31/2021	12/31/2020
	2021	2020
ამონაგები თბილისის მაღაზიებიდან	8,873,453	6,603,132
ამონაგები ბათუმის მაღაზიებიდან	7,275,696	1,454,838
ამონაგები ქუთაისის მაღაზიებიდან	2,338,882	3,698,363
ამონაგები ექსპორტიდან	266,515	2,827,616
სულ შემოსავალი	18,754,545	14,583,949

13. გაყიდული საქონლის ღირებულება

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	12/31/2021	12/31/2020
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	10,242,539	8,953,377
ინვენტარის შემცირება	-	-
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	10,242,539	8,953,377

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულების ანგარიში შედგება პირდაპირი ხელფასების, კომუნალური მომსახურების, და მომსახურებისგან.

14. მიწოდების ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2021	2020
იჯარის ხარჯი	2,114,737	1,964,944
ხელფასები	1,651,761	1,019,671
ცვეთა და ამორტიზაცია	1,031,821	1,081,837
კომუნალური ხარჯები	11,663	21,309
მარკეტინგის ხარჯები	562,780	161,476
რემონტი და საექსპლოატაციო ხარჯი	192,712	112,818
სხვა ხარჯები	156,301	38,943
ტრანსპორტირების ხარჯი	424	297,453
ბანკის ხარჯი	-	84,285
მარაგების ჩამოწერა	-	169,702
დაცვის ხარჯი	67,580	60,463
სულ მიწოდების ხარჯები	5,789,778	5,012,901

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საპროცენტო ხარჯი	2021	2020
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	51,929	24,192
ოფისის ხარჯები	37,171	45,362
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(116,106)	604,767
საკონსულტაციო ხარჯები	348,110	158,627
ხელფასები G&A	33,765	217,451
სხვა ხარჯები G&A	65,472	41,756
ბანკის ხარჯი	-	11,877
კომუნალური ხარჯები G&A	225,037	146,655
დაზღვევის ხარჯი	16,930	19,973
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	662,306	1,270,660

16. ფინანსური რისკის მართვა**კორპორატიული მართვის ჩარჩო**

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო აქციონერთა საერთო კრებაა. კომპანიის დირექტორი ინიშნება საერთო კრების მიერ. კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განსახილველად.

შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები

გენერალურ დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა კომპანიაში შიდა კონტროლის შემუშავებაზე, განხორციელებაზე და შენარჩუნებაზე, რომელიც შეესაბამება მოქმედების მასშტაბს და ხასიათს.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე, კონტროლის შემუშავებაზე და მათი ეფექტურობის მონიტორინგზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობას და პერიოდულად ახდენს დამატებით კონტროლის დანერგვას ან ცვლის არსებულ კონტროლს საჭიროებისამებრ.

რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკის მართვა ფუნდამენტურია ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისთვის და წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის არსებით ელემენტს.

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ოპერაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ფინანსური და არაფინანსური რისკებია:

საბაზრო რისკი, მათ შორის:

- საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- სავალუტო რისკი;
- ფასის რისკი.
- მკერდით რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- ოპერაციული რისკი
- კაპიტალის მართვის რისკი

მენეჯმენტმა დანერგა კონტროლის პროცედურები ძირითადი რისკების გასაკონტროლებლად.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები შეიცვლება საბაზრო პროცენტის ცვლილების გამო. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბერს კომპანია არსებითად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას არ გააჩნია ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების ნაშთები, რომლებიც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მატარებელია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები რამდენიმე უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31.12.2021	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,631,061	-	725,071	2,356,132
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,649,880	-	-	3,649,880
სულ ფინანსური აქტივები	5,280,942	-	725,071	6,006,013
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9,467,520	-	-	9,467,520
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,816,335	-	-	6,816,335
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,283,855	-	-	16,283,855
წმინდა პოზიცია	(11,002,913)	-	725,071	(10,277,842)
31.12.2020	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5,525,468	-	664,164	6,189,632
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,508,885	-	-	3,508,885
სულ ფინანსური აქტივები	9,034,353	-	664,164	9,698,517
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11,695,731	-	-	11,695,731
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,128,002	-	-	5,128,002
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,823,733	-	-	16,823,733
წმინდა პოზიცია	(7,789,380)	-	664,164	(7,125,216)

შპს “დეფაქტო რითეილ ჯი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

სხვა ფასების რისკი

სხვა ფასების რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი მოძრაობა შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილების გამო (გარდა საპროცენტო განაკვეთის რისკიდან ან სავალუტო რისკიდან), 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია მნიშვნელოვნად არ ექვემდებარება სხვა ფასების რისკს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე არ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ეს რისკი ძირითადად წარმოიშობა კომპანიის მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან. კომპანია ახდენს მის მიერ განხორციელებული საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურისა და მსესხებლის მიერ მიღებული რისკის ოდენობაზე ლიმიტების დაწესებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტებისათვის.

საკრედიტო რისკი	12/31/2021	12/31/2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,649,880	3,508,885
ფული და ფულის ექვივალენტები	2,356,132	6,189,632
	6,006,013	9,698,516

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებებით:

31.12.2021	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,356,132	-	-	2,356,132
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,649,880	-	-	3,649,880
სულ ფინანსური აქტივები	6,006,013	-	-	6,006,013
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	9,467,520	-	9,467,520
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,816,335	-	-	6,816,335
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,816,335	9,467,520	-	16,283,855
წმინდა პოზიცია	(810,322)	(9,467,520)	-	(10,277,842)

31.12.2020	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6,189,632	-	-	6,189,632

შპს “დეფაქტო რითეილ ჯი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,508,885	-	-	3,508,885
სულ ფინანსური აქტივები	9,698,516	-	-	9,698,516
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	11,695,731	-	11,695,731
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,128,002	-	-	5,128,002
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,128,002	11,695,731	-	16,823,733
წმინდა პოზიცია	4,570,514	(11,695,731)	-	(7,125,216)

17. კაპიტალის მართვა

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო აქციონერთა საერთო კრებაა. კომპანიის დირექტორი ინიშნება საერთო კრების მიერ. კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განსახილველად.

კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს. დირექტორი კომპანიის საქმიანობას გულმოდგინედ და ერთგულად ხელმძღვანელობს, იცავს წესდების დებულებას და მოქმედი კანონების მოთხოვნებს. კომპანიის საბჭო აღიარებს კორპორატიული მართვის კარგი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორატიული მართვის მაღალ სტანდარტებს.

18. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული.

ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ. კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად .ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

შპს “დეფაქტო რითეილ ჯი”

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2021 წლის 31 დეკემბერი

(d) კომპანიის ან მისი შმობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები იყო შემდეგი:

12/31/2021

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	278,433
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,726,053

12/31/2020

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,332
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,707,329

ბალანსის მუხლი

ბალანსი 31.12.2021

შემოსავალი	266,514
ინვენტარის შეძენა	10,581,890
ქონების და აღჭურვილობის შეძენა	54,578
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	125,852

ბალანსის მუხლი

ბალანსი 31.12.2020

შემოსავალი	2,827,616
ინვენტარის შეძენა	6,098,382
ქონების და აღჭურვილობის შეძენა	74,707
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	8,872

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

სახელი	2021	2020
მენეჯმენტის ხელფასი	163,283	217,451

20. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს დადებითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება, კომპანია გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით და დაგროვილი ზარალის ოდენობა მცირდება. უფრო მეტიც, კომპანიის გაყიდვები იზრდება და მას აქვს საკმაოდ კარგი ბიზნესის პერსპექტივები.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“
მმართველობის ანაგრიშება
2021 წლის 31 დეკემბრისათვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობის ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“ თანხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

გოჩა ჭოლოკავა

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

29 სექტემბერი, 2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობის ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“ თანმხლები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „დეფაქტო რითეილ ჯის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

გოჩა ჭოლოკავა



სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენი“

29 სექტემბერი, 2022 წელი

შპს დეფაქტო რითეილ ჯი

2021 წლის

მმართველობითი ანგარიშგება

შინაარსი

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	გვ 2
კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმა	გვ 3-3
კომპანიის მმართველობა	გვ 5
ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ	გვ 6
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	გვ 7
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	გვ 7
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	გვ 7
რისკები და შესაძლებლობები	გვ 7-9

საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შპს დეფაქტო რითეილ ჯი შპს ("კომპანია") დაფუძნდა 2015 წლის 12 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად.

მისი 100 % წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება დეფაქტო ფერაქენდე თაჯარეთ ანონიმ შირქეთი (JSC DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş.), დირექტორი - აჰმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ. JSC DEFACTO PERAKENDE TİC. A.Ş- თურქეთში დარეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც აწარმოებს და ყიდვს DEFACTO ბრენდის საქონელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლის, სუნამოების და ფეხსაცმლის რეალიზაცია სპეციალიზირებულ საცალო მაღაზიებში. კომპანიას საქართველოში შემოაქვს საქონელი. საქართველოში კომპანიის 5 საცალო მაღაზია მდებარეობს თბილისში - 2 მაღაზია, ბათუმში - 2 მაღაზია და ქუთაისში - 1 მაღაზია.

დეფაქტო-ს ბრენდის ერთ-ერთი მახასიათებელია მისი ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისთვის. ამავდროულად, ამ ტანსაცმლის ხარისხის პარამეტრები ძალიან მაღალ დონეზეა.

კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმა

2021 წელს დაფიქსირდა საერთო ამონაგების ზრდა (18754545 vs 14583948 GEL).

ზრდის ფაქტორი ძირითადად განპირობებულია Covid 19 პანდემიით გამოწვეული პირობების შემსუბუქებით და მაღაზიების მუშაობის შეზღუდვის მოხსნით. შემაკავებელი ზომების შემდეგ ეკონომიკამ გამოჯანმრთელება დაიწყო და მოსახლეობის გადახდისუნარიანობა გაიზარდა. ზოგადად, კარანტინის მოხსნის შემდეგ მოსახლეობამ დაიწყო სამუშაო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაბრუნება და, შესაბამისად, მეტი თანხის დახარჯვა დაიწყო ტანსაცმელზე.

2021 წელს საზღვრები გაიხსნა ტურისტებისთვის, რამაც გაზარდა გაყიდვები ბათუმის მაღაზიებში.

მიუხედავად დამატებითი ხარჯების პირადი დამცავი აღჭურვილობის და სადეზინფექციო საშუალებების შემენისათვის, 2021 წელს აღარ იყო გაზრდილი სატრანსპორტო ხარჯები საჯარო ტრანსპორტის მუშაობის შეზღუდვის გამო.

როგორც დრომ აჩვენა, 2020 წელს წამგებიანი მაღაზიების დახურვის გადაწყვეტილება სწორი იყო და ხარჯების შემცირებამ ხელი შეუწყო სიტუაციის სწრაფად სტაბილიზაციას პოსტCOVID-ის პერიოდში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, ეკონომიკური ეფექტის შენარჩუნებაში დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომელსაც ემატება კომპანიისგან დამოუკიდებელი გარემო ფაქტორები - სავალუტო კურსის დიდი ცვლილებები, მსყიდველობითუნარიანი მოქალაქეების არასაკმარისი ზრდა.

აგრეთვე, 2021 წელს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის გამო, სომხეთში ექსპორტი ფაქტობრივად შეჩერდა.

მიუხედავად აღმოჩენილი გამოწვევებისა, კომპანია ორიენტირებულია მომავალზე და სურს უფრო მეტი საინტერესო გააკეთოს როგორც თავის ინდუსტრიაში, ისე მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში. კომპანია გეგმავს თავისი პორტფოლიოს კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას, რათა თავის მომხმარებლებს მისცეს ფართო არჩევანის საშუალება.

განვითარების გეგმასთან თანახმად, კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა კონცენტრირება მოახდინოს წარმატებული მაღაზიების წილის გაზრდაში და განვითაროს მაღაზიების ქსელი რეგიონებში. 2022 წელს ქალაქ რუსთავეში მაღაზიის გახსნაზე მუშაობა მიმდინარეობს.

2021 წელს კომპანიამ წარმოადგინა ახალი პროდუქტი - სასაჩუქრე ბარათები. ამან შესაძლებელი გახადა მომხმარებელთა ლოიალობის გაზრდა, რაც მომგებიანია კომპანიისთვის და ასევე განაპირობა მომხმარებლის კომფორტი მაღაზიაში ყიდვისას.

კომპანია ასევე განიხილავს DefactoFit ბრენდის განვითარებას, რომელიც ძირითადად სპორტული ტანსაცმელზეა ფოკუსირებული.

კომპანიის ყველაზე დიდი კაპიტალი საკუთარი დასაქმებულებია, ის ძირითადი ბირთვი, რომელიც დაარსების დღიდან აგრძელებენ საქმიანობას კომპანიაში. კომპანიის პრიორიტეტია თანამშრომელთა სწავლება და ტრენინგი, რისი ხელშეწყობისთვისაც შექმნილია სპეციალური ონლაინ პლატფორმა DF Academy, რომელზეც აბსოლუტურად ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით, კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა დატრენინგებას ჯერ კიდევ მუშაობის დაწყებამდე. სპეციალური საორიენტაციო პროგრამა მორგებულია ახალბედა თანამშრომლებზე და აწვდის მათ საბაზისო ინფორმაციას კომპანიაზე, საცალო გაყიდვების სფეროზე, „ხელმისაწვდომი მოდის“ კონცეფციაზე, DeFacto-ს ბრენდზე და ა.შ.

კომპანიამ 2015 წელს დაიწყო და შემდგომში განავითარა თანამშრომელთა ეფექტური განვითარების პროექტი, რაც გულისხმობს თითოეულ თანამშრომელზე ინდივიდუალურად შედგენის განვითარების პროგრამას, ფასდება თითოეული თანამშრომლის აღებული ვალდებულებების შესრულება და ამის მიხედვით გაიცემა გეგმის შესრულებასთან ერთად წლიური ბონუსი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს თითოეული თანამშრომლის განვითარებას და ტალანტის გამოვლენას, რომელიც ეფექტურად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე.

გარდა აღნიშნული პროექტისა, კომპანიაში მუშავდება სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით ქსელის განვითარებას.

კომპანია აფასებს საკუთარ მომხმარებლის ლოიალას და წლიდან წლამდე ხვეწს მომსახურების და საქონლის ხარისხს.

დეფაქტოს ჯგუფი იცავს გარემოს ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებით, პლასტიკის გამოყენების შეზღუდვით. კომპანიამ აკრძალა მაღაზიებში პლასტიკური პაკეტების გამოყენება და იყენებს ქსოვილისგან დამზადებული სავაჭრო ჩანთების.

კომპანიის მმართველობა.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო აქციონერთა საერთო კრებაა. კომპანიის დირექტორი ინიშნება საერთო კრების მიერ. კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განსახილველად.

კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს. დირექტორი კომპანიის საქმიანობას გულმოდგინედ და ერთგულად ხელმძღვანელობს, იცავს წესდების დებულებას და მოქმედი კანონების მოთხოვნებს. კომპანიის საბჭო აღიარებს კორპორატიული მართვის კარგი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორატიული მართვის მაღალ სტანდარტებს.

თითოეულ მაღაზიას ჰყავს ორი მენეჯერი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მაღაზიის წარმატებულ ფუნქციონირებაზე. მენეჯერების მუშაობას კოორდინაციას უწევს რეგიონალური საოპერაციო ზედამხედველი.

კომპანიის ფუნქციონირების ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უფროსი ბუღალტერის, რეგიონალური ვიზუალ მერჩენდაიზერის და ადამიანის რესურსების მართვის სპეციალისტის მიერ.

კომპანია ყველა თანამშრომელთან აფორმებს ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას, რომელიც მომზადებულია საქართველოს შრომის კოდექსზე დაყრდნობით და შრომის კოდექსში შემავალი ცვლილებების პარალელურად დრო და დრო რედაქტირდება.

კომპანიის ხელმძღვანელობა ზრუნავს საქართველოში არსებული მაღაზიების თანამშრომელთა უფლებების დაცვაზე კომპანიის ფარგლებში. საოპერაციო ნაწილში დასაქმებული თანამშრომლებისათვის ტარდება ყოველთვიური შეხვედრები HR-თან, სადაც თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ ნებისმიერი სახის პრობლემა, რასაც აწყდებიან სამუშაო ადგილზე. კომპანიის სტრატეგია ამ მხრივ არის მჭიდრო კომუნიკაცია თანამშრომლებსა და HR დეპარტამენტს შორის, რათა თანამშრომელთა უფლებების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა იქნეს გამოვლენილი და მოყვეს შესაბამისი ზომები.

საქართველოს კონსტიტუციითა თუ შრომის კოდექსით გაწერილი ადამიანის უფლებების დარღვევის თითოეულ ინციდენტს კომპანიაში აუცილებლად მოყვება შესაბამისი რეაგირება დისციპლინარული კომიტეტის და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მხრიდან, თუმცა გვხვარია, რომ ადამიანთა უფლებების შელახვის შემთხვევები კომპანიაში მინიმუმამდე დაყვანილი და პრაქტიკულად, არ ხდება.

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2021	2020	ცვლილება
ამონაგები	18,754,545	14,583,948	4,170,596
საერთო მოგება	8,512,006	5,630,571	2,881,435
საოპერაციო მოგება	2,096,122	(606,270)	2,702,392
წმინდა მოგება	242,402	(1,538,300)	1,780,702

	2021	2020	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	45.39%	38.61%	6.78%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	11.18%	-4.16%	15.33%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	1.29%	-10.55%	11.84%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	9%	-9.00%	17.60%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო კაპიტალი)	57%	44.00%	13.00%

არაფინანსური მაჩვენებლები

	2021	2020	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	110	127	-17
მაღაზიების რაოდენობა	5	5	0

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ მიაჩნია ფასიანი ქაღალდები, დაშვებული საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკები და შესაძლებლობები

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვაზე და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ გვქონდეს რისკების ეფექტური და ძლიერი მართვა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს.

კომპანიის ძირითადი პოტენციური რისკები და შესაბამისი რეაგირება მის შემცირებაზე ქვემოთ მოცემულია:

საოპერაციო რისკები:

სისტემატიურად მოწმდება კომპანიაში შესაძლო გადაცდომები, და მენეჯმენტი ახდენს გადაცდომების პრევენციას და ატარებს ინვენტარიზაციებს სასაქონლო.

სამუშაო პროცესში მონიტორინგის მიერ გამოვლენილი დანაკლისები არის კომპანიის გამოწვევა, რაც ვლინდება მომხმარებლების მიერ არაკეთილსინდისიერ მოპყრობაში, რაც იწვევს სარეალიზაციო პროდუქციის დაკარგვას. ამისათვის კომპანია ამკაცრებს უსაფრთხოების ნორმებს და დანაკარგის სიხშირიდან გამომდინარე ყველა მაღაზია უზრუნველყოფილის დაცვის სამსახურის ვიდეო კამერებით.

აგრეთვე, კომპანიას აქვს ძალიან მტკიცე ეთიკური ღირებულებები, რომელთა დაცვა და გათვალისწინება ყველა თანამშრომლის უშუალო პასუხისმგებლობაა. ჩვენი კომპანიის თითოეულ თანამშრომელს ხელი აქვს მოწერილი ე.წ დისციპლინარულ კონტრაქტზე, ისევე როგორც კომპანიის ინფორმაციის უსაფრთხოების ხელშეკრულებასა და კომპანიის შინაგანაწესზე. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს ეთიკის ნორმებს და უზრუნველყოფს ქურდობის, ქრთამისა და კორუფციის პრევენციას. გარდა ამისა, მაღაზიები არის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, კამერების მეშვეობით, სათაო ოფისი აკვირდება თითოეული თანამშრომლის მოქმედებას (თანამშრომელთა ნებართვით) და ნებისმიერი საექვო ინციდენტის შემთხვევაში იწყება შიდა გამოძიება კომპანიაში. ეთიკური ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით ტარდება შიდა ტრენინგები და სპეციალური გადამზადება

მაღაზიის მენეჯერებისთვის, რომლებიც თავის მხრივ, შემდგომში მაღაზიის თანამშრომლებს ატრენინგებენ ამ მიმართულებით.

პროდუქციის ყიდვა / შემოტანა ხდება მხოლოდ თურქეთიდან (დეფაქტო ფრტაქენდე თაჯარეთ ანონიმ შირქეთი). ოპერაციების დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროდუქციის შეძენას, ბაზრების მოთხოვნების დროულად და მომგებიანად დაკმაყოფილების მიზნით. პროდუქციის მარაგი მკაცრად კონტროლდება. მოვალეობების სეგრეგაციის მიხედვით, გაყიდვების და ინვენტარიზაციის მართვის ჯგუფები განსხვავებულია. მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება წელიწადში ერთხელ დამოუკიდებელი კონტრაქტორი კომპანიის მიერ. მენეჯმენტი მეთვალყურეობას უწევს ინვენტარიზაციის პროცესს.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოადგენს საცალო სავაჭრო კომპანიას.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში.

კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

ვალუტის კურსის ცვლილებები

კომპანიის ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ლარის გაუფასურებამ შეიძლება შეამციროს წმინდა მოგება. აგრეთვე, კომპანიის საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვისა და სესხების ვალუტებს შორის. აღნიშნული რისკის მართვას კომპანიის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს.

პანდემიასთან დაკავშირებული რისკი

2021 წელს COVID -19-ის გავრცელების ინტენსივობა შემცირდა, რამაც თავის მხრივ შეამცირა დატვირთვა სახელმწიფო და სამედიცინო დაწესებულებებზე. ქვეყანაში ეტაპობრივად მოიხსნა შეზღუდვები

მაგრამ ამის მიუხედავად, არ არის ცნობილი, როგორ მოახდენს ვირუსი შემდგომ მუტაციას და იქნება თუ არა მომავალში დაავადების ახალი აფეთქება. მოსალოდნელია, რომ თავად პანდემიამ და მისი შედეგების შესუსტებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა იმოქმედონ სხვადასხვა მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების საქმიანობებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის მომდევნო ტალღის შემთხვევაში, განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე მისი ფაქტობრივი გავლენის შეფასება რთულია.

რეგიონალური დაძაბულობა, რომელიც აისახება ქართულ ბაზარზე

კომპანია ფუნქციონირებს პოლიტიკურად აქტიურ რეგიონში, სადაც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე. ამ რისკის სრულად მართვა შეუძლებელია.

ბაზარზე არსებული სიტუაცია

ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის მდგომარეობაზე უარყოფითად. თუ ქვეყანაში გაუარესდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები, უმუშევრობა და ა.შ., ეს შესაბამისად აისახება კომპანიის მომხმარებლის მსყიდველობის უნარზე, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

აგრეთვე, ბაზრის ზრდა შემცირებულია, ხოლო კონკურენცია იზრდება, რამაც შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ოპერირების ხარჯები და შეამციროს კომპანიის წმინდა მოგება.

დირექტორი : აკმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

ვალუტის კურსის ცვლილებები

კომპანიის ხარჯების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ლარის გაუფასურებამ შეიძლება შეამციროს წმინდა მოგება. აგრეთვე, კომპანიის საკრედიტო რისკს გასწევს იქედან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვისა და სესხების ვალუტებს შორის. აღნიშნული რისკის მართვას კომპანიის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს.

პანდემიასთან დაკავშირებული რისკი

2021 წელს COVID -19-ის გავრცელების ინტენსივობა შემცირდა, რამაც თავის მხრივ შეამცირა დატვირთვა სახელმწიფო და სამედიცინო დაწესებულებებზე. ქვეყანაში ეტაპობრივად მოიხსნა შეზღუდვები

მაგრამ ამის მიუხედავად, არ არის ცნობილი, როგორ მოახდენს ვირუსი შემდგომ მუტაციას და იქნება თუ არა მომავალში დაავადების ახალი აფეთქება. მოსალოდნელია, რომ თავად პანდემიამ და მისი შედეგების შესუსტებისთვის გატარებულმა ღონისძიებებმა იმოქმედონ სხვადასხვა მრეწველობაში მოღვაწე კომპანიების საქმიანობებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის მომდევნო ტალღის შემთხვევაში, განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე მისი ფაქტობრივი გავლენის შეფასება რთულია.

რეგიონალური დამახულობა, რომელიც აისახება ქართულ ბაზარზე

კომპანია ფუნქციონირებს პოლიტიკურად აქტიურ რეგიონში, სადაც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე. ამ რისკის სრულად მართვა შეუძლებელია.

ბაზარზე არსებული სიტუაცია

ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის მდგომარეობაზე უარყოფითად. თუ ქვეყანაში გაუარესდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები, უმუშევრობა და ა.შ., ეს შესაბამისად აისახება კომპანიის მომხმარებლის მსყვიდველობის უნარზე, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

აგრეთვე, ბაზრის ზრდა შემცირებულია, ხოლო კონკურენცია იზრდება, რამაც შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ოპერირების ხარჯები და შეამციროს კომპანიის წმინდა მოგება.

დირექტორი : აკმეთ ჰამდი ბურგაჩოღლუ

